

ჰაროლდ პინტერი

ძველი დროება

ჩანს ყოფილი ფერმა.

მაღალი ფანჯარა ოთახის ცენტრში. საწოლი ოთახის კარი მარცხენა ზედა მხარეს, შესასვლელი კარი მარჯვენა ზედა მხარეს.

მცირე, თანამედროვე ავეჯი.

ორი დივანი, სავარძელი.

შემოდგომა. დამე

პირველი მოქმედება

მკრთალი სინათლე. იკვეთება სამი ფიგურა:

დიილი - მოკალათებულია სავარძელში, გაუნძრევლად.

ქეითი - უმოძრაოდ დივანზე, ფეხბაჭყილი.

ანა - დგას ფანჯარასთან, გარეთ იყურება.

სიჩუმე

განათება ეცემა დიილის და ქეითს, რომლებიც სიგარეტს ეწევიან.

მკრთალ შექმი ანას ფიგურა ფანჯარასთან გაუნძღვლად რჩება.

ქეითი: (იხსენებს) მუქი.

პაუზა.

დიილი: გამხდარი თუ მსუქანი?

ქეითი: მგონი, ჩემზე მსუქანი.

პაუზა.

დიილი: მაშინ იყო ასეთი?

ქეითი: მე მგონი.

დიილი: შეიძლება ახლა ადარ იყოს.

პაუზა.

ის შენი საუკეთესო მეგობარი იყო?

ქეითი: ეგ რას ნიშნავს?

დიილი: რა რას ნიშნავს?

ქეითი: სიტყვა მეგობარი... როცა უკან იხედები... თან ამდენი დრო გავიდა.

დიილი: არ გახსოვს, რას გრძნობდი?

პაუზა.

ქეითი: დიდი დრო გავიდა

დიილი: მაგრამ შენ ის გახსოვს, მასაც ახსოვხარ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ ჩამოდის ჩვენთან ამაღლამ?

ქეითი: ალბათ იმიტომ, რომ გახსოვარ.

პაუზა.

დიილი: შენ თვლი, რომ ის შენი საუკეთესო მეგობარი იყო?

ქეითი: ის ჩემი ერთადერთი მეგობარი იყო.

დიილი: შენი საუკეთესო და ერთადერთი მეგობარი?

ქეითი: ერთადერთი (პაუზა). ერთადერთი იყო, ერთადერთი არ ნიშნავს საუკეთესოს

დიილი: რადგან ვერაფერს შეადარებ?

პაუზა.

ქეთი: ჰმ...

პაუზა.

დილი: (დიმილით) ე.ი. შეუდარებელი იყო?

ქეთი: ნამდვილად არ იყო.

პაუზა.

დილი: არ ვიცოდი, რომ ასე ცოტა მეგობრები გყავდა.

ქეთი: საერთოდ არ მყავდა არც ერთი, მხოლოდ ის.

დილი: რატომ ის?

ქეთი: არ ვიცი (პაუზა). ქურდი იყო, ნივთებს იპარავდა.

დილი: ვის პარავდა?

ქეთი: მე.

დილი: რას გპარავდა?

ქეთი: საცვლებს

დილი: (ჩაიცინებს) შეახსენებ?

ქეთი: არა მგონია.

პაუზა.

დილი: ეს გიზიდავდა მასში?

ქეთი: რა?

დილი: ის, რომ ქურდი იყო.

ქეთი: არა.

პაუზა.

დილი: ელოდები მის ჩამოსვლას?

ქეთი: არა.

დილი: მე კიდევ მოუთმენლად. მაინტერებს.

ქეთი: რა გაინტერებს?

დილი: შენი რეაქცია, დაგაკვირდები.

ქეთი: მე? რატომ?

დილი: მივხედები, შეცვლილია თუ არა.

ქეთი: ამის გარევევას ჩემი საშუალებით აპირებ?

დილი: ცხადია.

პაუზა.

ქეთი: კარგად აღარც მახსოვს, თითქმის დამავიწყდა.

პაუზა.

დილი: იცი რას დალევს?

ქეთი: წარმოდგენა არ მაქვს.

დილი: შეიძლება ვეგეტარიანელია

ქეთი: ჰკითხე.

დილი: რა აზრი აქვს, შენ ხომ სადილი უკვე მოამზადე? (პაუზა). არ არის გათხოვილი?

ქმარი რატომ არ ჩამოყაეს? ქეთი: ჰკითხე.

დილი: უველავერი მე უნდა ვკითხო?

ქეთი: გინდა, რომ მე დაუსვა შენი შეკითხვები?

დილი: არა, არ მინდა.

პაუზა.

ქეთი: რა თქმა უნდა, გათხოვილია.

დილი: საიდან იცი?

ქეთი: უველა გათხოვილია.

დილი: მაშინ ქმარი რატომ არ ჩამოჰყავს?

ქეთი: არ ჩამოჰყავს?

პაუზა.

დილი: ახსენებს ქმარს წერილში? ქეთი: არა.

დილი: როგორ ფიქრობ, როგორი იქნება? როგორ კაცს გაყვებოდა ცოლად? ბოლოს და ბოლოს ის შენი საუკეთესო და ერთადერთი მეგობარი იყო. უნდა ხვდებოდე, როგორი ქმარი ჰყავს.

ქეთი: ვერ ვხვდები.

დიილი: არც გაინტერებს?

ქეთო: შენ გავიწყდება, რომ მე მას ვიცნობ.

დიილი: მაგრამ ოცი წელია არ გინახავს.

ქეთო: შენ საერთოდ არ გინახავს, ეს არის განსხვავება პაუზა.

დიილი: ყოველ შემთხვევაში, სადილი ოთხი ადამიანისთვის საკმარისია.

ქეთო: შენ ხომ თქვი, რომ ის ვეგეტარიანელია.

პაუზა.

დიილი: ბევრი მეგობარი ყავდა?

ქეთო: ნორმალური რაოდენობა, ალბათ.

დიილი:

ნორმალური? რას ნიშნავს ნორმალური რაოდენობა? შენ არც ერთი არ გყავდა.

ქეთო: ერთი მყავდა.

დიილი: ეს ნორმალური რაოდენობაა? (პაუზა). მას.... ალბათ ყავდა ბევრი მეგობარი.

ქეთო: ასეულობით.

დიილი: შეხვედრისარ მათ?

ქეთო: ალბათ ყველას არა, მაგრამ ჩვენ ხომ ერთად ვცხოვრობდით, ზოგი ჩვენთან მოდიოდა.

დიილი: მისი სტუმრები?

ქეთო: რა?

დიილი: მისი სტუმრები, მეგობრები, შენ არ გყავდა მეგობრები.

ქეთო: დიახ, მისი მეგობრები.

დიილი: შენ მათ ხვდებოდი (პაუზა. უხეშად) თქვენ ერთად ცხოვრობდით?

ქეთო: ა?

დიილი: ერთად ცხოვრობდით?

ქეთო: რა თქმა უნდა.

დიილი: არ ვიცოდა.

ქეთო: მართლა?

დიილი: ჩემთვის არასოდეს გითქვამს. მე მეგონა, უბრალოდ იცნობდით ერთმანეთს.

ქეთო: ვიცნობდით.

დიილი: და ერთად ცხოვრობდით.

ქეთო: რა თქმა უნდა, სხვანაირად როგორ მოიპარავდა ჩემ საცვლებს? ქუჩაში?

პაუზა.

დიილი: ვიცოდი, რომ ვიღაცასთან ერთად ცხოვრობდი ოდესდაც... (პაუზა). მაგრამ არ ვიცოდი, რომ მასთან ერთად.

ქეთო: რა თქმა უნდა, მასთან ერთად.

პაუზა.

დიილი: თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს?

ანა ფანჯრიდან ბრუნდება, ლაპარაკს იწყებს და მათკენ მოდის, მეორე დივანზე ჯდება.

ანა: მთელი დამე რიგში დგომა და წევიძა გახსოვს? დმეთო ჩემთ, ალბერტ ჰოლი, კოვენტ გარდენი... ნეტა რას ვჭამდით ხოლმე? გახსოვს, თითქმის ყოველ დამე ვაკეთებდით იმას, რაც ყველაზე მეტად გვიყვარდა. ახალგაზრდები ვიყავით, მაგრამ მაიც მიკვირს, საიდან გვქონდა ამდენი ენერგია, მთელი დღე გმუშაობდით, საღამოს კი კონცერტები, ოპერა, ბალეტი... ის დამე გახსოვს? აგტობუსის ზედა სართული, კენისიგზონის ქუჩა, კონდუქტორები, მერე ასანთზე მივრბოდით, რომ გაზეურა დაგვენთო, ალბათ, ერბოკვერცხს ვამზადებდით. ვინ ამზადებდა?

ორივე ვიცინოდით და კლაპარაკობდით, სითბოს ვეფიცენებოდით, მერე ვიძინებდით, დილით თავიდან იწყებოდა ყველაფერი – გაფრბოდით, რომ ავტობუსისთვის მიგვესწრო და სამსახურში წაგსულიყავით. ლანჩის დროს გრინპარეში ვხვდებოდით, ერთმანეთს სიახლეებს უუკებოდით, საკუთარი ხელით მომზადებულ სენდვიჩებს მივირთმევდით. გულუბრყვილო გოგოები ვიყავით, გულუბრყვილო მდივანი გოგოები. თან მოუთმენლად ველოდებოდით საღამოს, იმდენი რამ გვქონდა წინ... ძალიან დარიბები ვიყავით, მაგრამ იყო ორი დარიბი და ახალგაზრდა გოგო ლონდონში... გახსოვს, კაფეებს რომ ვპოულობდით, სადაც ძალიან ცოტა ხალხი იკრიბებოდა: მხატვრები, მწერლები, ზოგჯერ მსახიობები ან მოცეკვაებები. სუნთქვაშეკრულები ვისხედით ფაფის ჭიქასთან და ვცდილობდით, შეუმჩნევლები ვეოფილიყავით, ჩუმად კუსმენდით

ყველაფერს და ვცდილობდით სიტყვაც არ გამოგვრჩნოდა. ეს ყველაფერი, ეს ადამიანები, უდავოდ ხელოვნებას ემსახურებოდნენ, ნერა ეს ყველაფერი ისევ არსებობს? შეგიძლიათ მითხვათ?

მცირე პაუზა.

დიილი: ჩვენ იშვიათად ჩავდივართ ლონდონში.

ქეთით დგება, პატარა მაგიდასთან მიდის და ყავას ისხამს.

ქეთით: დიახ, მახსოვს.

რქეს და შაქარს ამატებს ერთ-ერთ ჭიქაში და ანასთან მიაქვს. შავი ყავა დიილისთან მიაქვს, შემდეგ ჯდება თავისი ჭიქით ხელში.

დიილი: (ეკითხება ანას) ბრენდის დალუკო?

ანა: სიამოვნებით დავლუკ ცოტას.

დიილი ასხამს ბრენდის სამივესთვის, თავისი ჭიქით ხელში ფეხზე დგას

ანა: გესმით, რა სიწყნარეა. აქ ყოველთვის ასეა?

დიილი: დიახ, როგორც წესი, აქ სიმშვიდეა (პაუზა). ზოგჯერ ზღვის ხმაურის გაგონებაც შეიძლება, თუ ყერადღებით მოუსმენ.

ანა: ძალიან გონივრული იყო საცხოვრებლად ქვეყნის ამ ნაწილის არჩევა. თქვენი მხრიდან ნამდვილი გმირობაა მუდმივად ასეთ სიჩუმეში ყოფნა.

დიილი: მე სამსახურის გამო ხშირად ვმოგზაურობ, მაგრამ ქეითი აქ რჩება.

ანა: აქ ვინც ცხოვრობს, ალბათ არ მოუნდება შორს წასვლა. მე არ მომინდებოდა წასვლა, შიში შემიპყრობდა, რომ უკან დაბრუნებულს სახლი აღარ დამხვდებოდა.

დიილი: შიში შეგიპყრობდათ?

ანა: რა?

დიილი: ეს ფრაზა – შიში შემიპყრობდა – დიდი ხანია არ გამიგონია.

პაუზა.

ქეთით: ზოგჯერ ზღვის სიახლოეს ვსეირნობ, სანაპირო საქმაოდ გრძელია და იშვიათად მხვდება ვინმე

პაუზა.

ანა: აუცილებლად მომენატრებოდა ლონდონი. რა თქმა უნდა, ლონდონში ახალგაზრდები ვიყავით, ძალიან ახალგაზრდები.

დიილი: ცუდია, მაშინ რომ არ გიცნობდით.

ანა: მართლა?

დიილი: ნამდვილად.

ბრენდის ამატებს თავის ჭიქაში.

ანა: სადილი არაჩვეულებრივი იყო.

დიილი: მართლა?

ანა: მაბატიეთ, მინდოდა მეთქვა თქვენი ცოლი არაჩვეულებრივი მზარეულია.

დიილი: აჲ!

ანა: მისი მომზადებული სადილი არაჩვეულებრივი იყო.

დიილი: ვეგეტარიანელი არ ხართ? ანა: არა.

დიილი: სოფელში კარგი კვება აუცილებელია, რომ ენერგია შეინარჩუნო, სუფთა პაერი, ხომ იცით...

ქეთით: შიეგარს საქმიანობა.

ანა: რა საქმიანობა?

ქეთით: ამგვარი საქმიანობა.

პაუზა.

დიილი: სადილის მომზადებას გულისხმობ?

ქვეთი: კველაფერს.

ანა: კარგი მზარეულები არ ვიყავით, არც გვქონდა ამის დრო, მაგრამ საჭმელს მაინც ხშირად ვამზადებდით, უზარმაზარ თევზებზე გემრიელად გჭამდით და მერე ძალიან ხშირად შუაღამემდე იეიტსის ლექსებს ვკითხულობდით. (პაუზა). (თავისთვის) ძალიან ხშირად.

ანა დგება და ფანჯარასთან მიდის: ცა ისეთი წყნარია. (პაუზა). ხედავთ სინათლის წვრილ ზოლს? ეს ზღვაა თუ ჰორიზონტი?

დიილი: თქვენ განსხვავებულ სანაპიროზე ცხოვრობთ.

ანა: დიახ, მე სრულიად განსხვავებულ, ვულკანურ კუნძულზე ვცხოვრობ.

დიილი: ვიცი ებ ადგილი.

ანა: მართლა?

დიილი: ნამყოფი ვარ.

პაუზა.

ანა: ძალიან მიხარია აქ ყოფნა.

დიილი: ქვეთისთვის ძალიან სასიხარული იყო თქვენი ნახვა, ბევრი მეგობარი არ ყავს.

ანა: მას თქვენ ყავხართ.

დიილი: ნამდვილად აკლია ცნობისმოყვარეობა.

ანა: ალბათ, ბევრიერია.

პაუზა.

ქვეთი: ჩემზე ლაპარაკობთ?

დიილი: დიახ.

ანა: ყოველთვის მეოცნებე იყო.

დიილი: ხანგრძლივი სეირნობა უყვარს. საწვიმრით, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მიუყვება ხოლმე ხეივანს.

ანა ქვეთს შეხედავს.

ანა: დიახ.

დიილი: ზოგჯერ მის სახეს ხელებში მოვიქცევ და ვუყურებ.

ანა: მართლა?

დიილი: დიახ, ვუყურებ ჩემს ხელებს შორის მოქცეულ მის სახეს, მერე ხელს ვუშვებ და თავის ნებაზე გაცურვის უფლებას ვაძლევ.

ქვეთი: ჩემი თავი საკმაოდ მყარად არის მხრებზე.

დიილი: (ანას) ის ცურავს.

ანა: ყოველთვის მეოცნებე იყო.

ანა ჯდება: ზოგჯერ, როცა პარკში სეირნობისას ვეუბნებოდი, შენ ეხლა ჩემთან არ ხარ, ხიზმრებში დაფრინავ, რაზე ოცნებობ? დროა გამოფხიზლდე. შემომხედავდა, თმებს უკან გადაიწევდა, ისე მიყურებდა, თითქოს მეც მისი ოცნების ნაწილი ვიყავი. (პაუზა) ერთ დღეს მითხრა, პარასკევი დღე ძილში გაგატარე. რას გულისხმობ-მეთქი, ვეკითხები. მოელი პარასკევი დღე მემინა, – მიპასუხა. მაგრამ დღეს არის პარასკევი, – ვუმეორებ, – მოელი დღე პარასკევი იყო, ახლა პარასკევი დამეა, შენ დღეს ჯერ არ გძინებია. არა, მემინა, – აგრძელებს, – მოელი დღე მემინა, დღეს შაბათია.

დიილი: ე.ო. არ იცოდა, რა დღე იყო?

ანა: არ იცოდა.

ქვეთი: ვიცოდი, შაბათი იყო.

პაუზა.

დიილი: რა თვეა ახლა?

ქვეთი: სექტემბერი.

პაუზა.

დიილი: ჩვენ ვაძლებოთ იფიქროს. ხშირად უნდა მოიხახულოთ, მასზე დადებით ზეგავლენას ახდენთ.

ანა: ის ყოველთვის არაჩვეულებრივი კომპანიონი იყო.

დიილი: მოგწონდათ მასთან ცხოვრება?

ანა: დიახ, ძალიან მსიამოვნებდა.

დიილი: სანახავად საყვარელი იყო, მასთან ურთიერთობა კი საოცრად სასიამოვნო.

ანა: ეს სიმღერები, ჩვენ მათ სულ ვუსმენდით. ხშირად გვიან დამემდე, იატაკზე

წამოწოლილები. ზოგჯერ მის სახეს ვუყურებდი, თუმცა ის ვერ გრძნობდა ჩემს დაჟინებულ მზერას.

დიილი:

დაჟინებულ მზერას?

ანა: რა?

დიილი: ეს ფრაზა – დაჟინებული მზერა – საკმაოდ იშვიათად მესმის.

ანა: ის ჩემს მზერას ვერ გრძნობდა, ოცნებებში იყო.

დიილი: სანახავად საყვარელი იყო, მასთან ურთიერთობა კი საოცრად სასიამოვნო.

ქიოთ: არ მახსოვს ეს სიმღერა, ვუსმენდით ხოლმე?

დიილი: (უმდერის ქიოთს) You're Lovely to look at, delightful to know...

ანა: რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა ვუსმენდით ამ სიმღერას.

დიილი: (მღერის) Bule moon, I see standing alone ...

ანა: (მღერის) The way you comb your hair ...

დიილი: (მღერის) Oh, no they cant take that away from me ...

ანა: (მღერის) Oh but you are lovely, with your smile so warm ...

დიილი: (მღერის) I've got a woman crazy for me. She's so funny that way ...

ანა: (მღერის) You are the promised kiss of springtime ...

დიილი: (მღერის) And someday I'll know that moment divine,
When all the things you are, are mine!

პატარა პაუზა.

ანა: (მღერის) I get no kick from champagne,

Mere alcohol doesn't thrill me at all,

So tell me why should it be true -

დიილი: (მღერის) That I get a kick out of you ...

პაუზა.

ანა: (მღერის) They asked me how I knew

My true love was true,

I of course replied,

Something here inside

Cannot be denied.

დიილი: (მღერის) When a lovely flame dies...

ანა: (მღერის) Smoke gets in your eyes.

პაუზა. (მღერის) The sight of midnight trains in empty stations...

პაუზა.

ანა: (მღერის) The park at evening when the bell has sounded...

პაუზა.

დიილი: (მღერის) The smile of Garbo and the scent of roses...

ანა: (მღერის) The waiters whistling as the last bar closes...

დიილი: Oh, how the ghost of you clings.

პაუზა.

დიილი: ახლა ასეთ სიმღერებს ადარ ქმნიან. (სიჩუმე). აი, ერთ დღეს რა შემემთხვა.

მოულოდნელად, ძველ, ჭუქყიან კინოთეატრში ამოგვავი თავი და ფილმი „მარტოხელა კაცი“

ვნახე. იმ წელი ზაფხულის საღამოს გაურკვევლი მიმართულებით მიმავალმა, მახსოვს,

გავიფიქრე, რომ რაღაც იყო ნაცნობი იმ გარემოში. უცებ მივხვდი, ეს ის უბანი იყო, სადაც

მამხემმა ჩემი პირველი და ერთადერთი სამოვლიანი ველოსიპედი მიყიდა. მოკლედ, იქ იყო ის ველოსიპედების მაღაზია და ის კინოთეატრი, სადაც „მარტოხელა კაცს“ უჩვენებდნენ.

კინოთეატრის ფოიეში ბილეთებს ორი ქალი ამოწმებდა. ერთ-ერთი მკერდზე ხელს ისვამდა და ვნებიანად კენჭეოდა, თან მეორეს უდიმდა, მეორე კი ბინძურ ბოზს ეძახდა. იმ აუტანლად

ცხელი ზაფხულის საღამოს მე შევაბიჯე სიცარიელეში, ფილმს ვუყურე და გავიფიქრე, რომ

რობერტ ნიუტონი შეუდარებელი იყო. ახლაც ასე ვფიქრობ. მისი გულისათვის დღესაც კი

ჩავიდენ მკელობას. მთელ კინოთეატრში, ჩემს გარდა, მხოლოდ ერთი ადამიანი იყო,

მხოლოდ ის იჯდა დარბაზში. და აი ის. ის იყო. ჩუმი, წყნარი, გაუნძრევლად იჯდა ზუსტად დარბაზის ცენტრში. მე ცენტრიდან მოშორებით ვიჯექი და არც შემიცვლია ადგილი. ფილმის დასრულების შემდეგ გარეთ გამოსულმა ჯეიმს მეისონის სიკვდილის მიუხედავად, მაინც შევნიშნე, რომ მეორე კონტრლიორი ქალი დალლილი ჩანდა. ცოტა ხანი მზეზე გავჩერდი, ალბათ, რადაცაზე ვფიქრობდი და ის სწორედ მაშინ გამოვიდა გარეთ. როგორც მახსოვს, შევხედე და ვუთხარი, რომ რობერტ ნიუტონი ფანტასტიკური იყო-მეთქი. მან რაღაც მიპასუხა, ლმერთმა უწყის – რა. მაგრამ შემომხედა და ვიფიქრე: ლმერთო, ეს არის ის, ვისაც ვეძებდი- მეთქი. მოგვიანებით, როცა კაფეში ვისხედით და ჩაის ვსვამდით, თავის ჭიქას ჩახედა, მერე მე შემომხედა და ოქვა, რომ რობერტ ნიუტონი მართლაც ფანტასტიკური იყო. ასე რომ, რობერტ ნიუტონმა დაგვახლოვა და ის ერთადერთია, ვისაც ჩვენი დაშორება შეუძლია.

პაუზა.

ანა: ფ.ჯ. მაკკორმაკიც შესანიშნავად თამაშობს.

დიილი: მაკკორმაკი შესანიშნავად თამაშობს, მაგრამ მას არ დაუახლოვებივარო.

პაუზა.

დიილი: ნანახი გაქვთ ეს ფილმი?

ანა: დიდი ხნის წინ.

პაუზა.

დიილი: (ქეითს) გახსოვთ ეს ფილმი?

ქეითი: დაახ, ძალიან კარგად.

დიილი: მე მგონი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მეორე შეხვდერაზე უკვე ხელჩაკიდულები დავდიოდით. მისი გრილი ხელი მეტირა, გაერდით მომყენებოდა, რადაც ვუთხარი, გაიღიმა, თმები უკან გადაიწია და შემომხედა, მაშინ გავიფიქრე, რომ ის რობერტ ნიუტონზე ფანტასტიკური იყო.

პაუზა.

დიილი: მოგვიანებით, როცა ჩვენი შიშველი სხეულები ერთმანეთს შეხვდა და მისი გრილი, თბილი, დამყოლი სხეული ვიგრძენი, გავიფიქრე, საინტერესოა, რას იფიქრებდა ამაზე რობერტ ნიუტონი. ამაზე ვფიქრობდი, როცა მის სხეულს ვეხებოდი. (ანას) რას იფიქრებდა რობერტ ნიუტონი?

ანა: რობერტ ნიუტონს არასოდეს შევხვდერივარ, მაგრამ მესმის, რას გულისხმობთ. არსებობს მეხსიერებაში რადაცები, რაც შეიძლება სინამდვილეში არც მომხდარა. ჩემს გონიერაში კი ისეა აღბეჭდილი, თითქოს ოდესმე მართლა მოხდა.

დიილი: რას გულისხმობთ?

ანა: კაცს, რომელიც ტიროდა ჩვენს ოთახში. ერთ დამეს მე შინ დავბრუნდი და ვნახე, რომ ეს კაცი ტიროდა, ხელები სახეზე ჰქონდა აფარებული, საგარებელში ფეხებაკეცილი იჯდა, ქეითი ლოგინზე იჯდა ყავის ჭიქით ხელში, მე ხმა არავინ გამცა, თავიც არავის აუწევია. არაფრის გაეთება არ შემეძლო. გავიხადე, შუქი გამოვრთე და ჩემს ლოგინში ჩავწერი. ფანჯრებზე თხელი ფარდები ეკიდა და ქუჩიდან მკრთალი შუქი შემოდიოდა. ქეითი გაუნძრევლად იჯდა ლოგინზე, კაცი ტიროდა, ქუჩის შუქი თახაში შემოდიოდა და კედელს ანათებდა. ნიავი უბერავდა და დროდადრო ფარდებს არხევდა, ოთახში მხოლოდ კაცის ტირილი ისმოდა, უეცრად ეს ხმაც შეწყდა. კაცი სწრაფად მოვიდა ჩემს ლოგინთან და დამხედა, მაგრამ მე არაფერი მქონდა მასთან საერთო, არაფერი (პაუზა). თუმცა არა, ის ძალიან ხელა მოძრაობდა, განათება ძალიან ცუდი იყო, ის გაჩერდა, ოთახის შუაგულში იდგა. ორივეს შემოგვხედა ჩვენს ლოგინებზი. ჩემსკენ მობრუნდა, ლოგინს მოუახლოვდა, ჩემსკენ დაიხარა, მაგრამ არაფერი მქონდა მასთან საერთო, არაფერი.

დიილი: როგორ გამოიყურებოდა?

ანა: ცოტა ხნის შემდეგ გავიგონე როგორ გავიდა. შემომესმა გასასვლელი კარგბის დახურვის ხმა, შემდეგ ვეხის ხმა ქუჩაში, შემდეგ სიჩუმე, ნაბიჯების ხმა თანდათან მიჩუმდა, ისევ სიჩუმე. (პაუზა). მაგრამ, მოგვიანებით, დამით მე გამეღვიძა და ქეითის ლოგინში ორი ლანდი დავინახე.

დიილი: ის დაბრუნდა.

ანა: ქეითის ვეხებთან იწვა მის ლოგინში.

დიილი: ჩემი ცოლის ვეხებთან ვიღაც კაცი იწვა?

პაუზა.

ანა: დილით უპვე ადარ იყო
დილი: მადლობა დმერთს!

ანა: თითქოს არც არასოდეს ყოფილა.

დილი: რა თქმა უნდა იყო, ორჯერ წავიდა და ერთხელ მოვიდა (პაუზა). რა ამაღლვებელი ისტორიაა.

(პაუზა). როგორ გამოიყერებოდა ის კაცი?

ანა: არასოდეს მინახავს მისი სახე გარკვევით, არ ვიცი,
დილი: მაგრამ ის?

ქეთი დგება, პატარა მაგიდასთან მიდის, ყუთიდან სიგარეტს იღებს და ანთებს, ანას შეხედავს.

ქეთი: ჩემზე ისე ლაპარაკობთ, როგორც გარდაცვლილზე.

ანა: შენ ცოცხალი იყავი, ძალიან მხიარული, სიცოცხლით სავსე, სშირად იღიმებოდი.

დილი: რა თქმა უნდა, მე მიღიმოდი, როცა ქუჩაში ხელჩაკიდებულები მივდიოდით.

ანა: დიახ, შენ შეგეძლო სიცოცხლით სავსე ყოფილიყავი.

დილი: სიცოცხლით სავსე შესაფერისი სიტყვა არ არის, როცა ის მიღიმოდა... არც ვიცი როგორ ადგინერო.

ანა: თვალები ენთებოდა.

დილი: ამაზე უკეთესად მე ვერ ვიტყოდი.

დილი დგება, სიგარეტის ყუთთან მიდის, სიგარეტს იღებს, უღიმის ქეთის. ქეთი უყურებს, სიგარეტის კოლოფს გამოართმევს, ანასთან მიდის და სიგარეტს სთავაზობს, ანა ერთს იღებს.

ანა: არასოდეს ყოფილხარ მიცვალებულივით.

ქეთი: ისე ლაპარაკობთ ჩემზე, როგორც გარდაცვლილზე.

ანა: ამას როგორ ამბობ, როცა ამ წუთშიც გიყურებ, ახლა, როცა ჩემს სიახლოვეს დგახარ და დამყურებ.

დილი: შეწყვიტეთ!

პაუზა.

ქეთი ჯდება. დილი სასმელს ისხამს

დილი: მაშინ სტუდენტი ვიყავი, მომავალს ვეთამაშებოდი. ვეჭვობდი, უნდა ამელო კი ჩემს თავზე ამ სიფრიფანა გოგოს ბედი, რომელიც ბავშვის ასაკიდან ახლახანს გამოსულიყო და რომლის ერთადერთი ღირსება დუმილი იყო. მას არ ქონდა სიმყარის შეგრძნება, არ გააჩნდა სიმტკიცე და მხოლოდ ქარების ქროლგას ემორჩილებოდა, მაგრამ არა იმ ქარებისა, რომელიც ჩემნც ვიცით, არამედ ალბათ იმის, რომლისაც მხოლოდ მას ეხმოდა და ცხადია, თავად ამას ვერც ხვდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ისე არ აღიქვავდა, როგორც მე. მაშინ მე ეს ასე ავხსენი: ქალის კლასიკური ფიგურაა, ვუთხარი ჩემს თავს, ან ქალის კლასიკური პოზა. ერთიც და მეორეც დიდი ხანია გაცედა.

პაუზა.

ყოველ შემთხვევაში, შემიძლია კატეგორიულად განვაცხადო, რომ ასეთი იყო ჩემი პოზიცია რცი წლის წინ.

სიჩუმე.

ანა: როცა ქეთის გათხოვების ამბავი გავიგე, სიხარულისგან ხტუნვა დავიწყე.

დილი: საიდან გაიგეთ?

ანა: მეგობრისგან. (პაუზა). დიახ, სიხარულისგან ხტუნვა დავიწყე. იცით, მე ვიცოდი, რომ ის არასოდეს გადადგამდა ნაბიჯს დაუფიქრებლად, დაუდევრად. ზოგი, სანამ მდინარეში გადახტება, ქვას ისევრის, რომ შეამოწმოს, ნახოს – ღირს თუ არა გადახტომა, თუმცა ზოგი კი წყლის ჭავლით დაფარვას დაელოდება წყალში შესვლამდე.

დილი: ზოგიერთი რას აკეთებს? (ქეთის) რა თქვა?

ანა: ვიცოდი, რომ ქეთი არა მარტო პირველი ტალღების გამოჩენას დაელოდებოდა, არამედ დაიცდიდა, სანამ ზედაპირი მთლიანად დაიფარებოდა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება არ

გადამხტარიყო, მაგრამ რადგან გადახტა, მიგხვდი, რომ ის ჭეშმარიტად შეყვარებული და ბენიერი იყო. ძალიან გამიხარდა მისი ამბავი. ვფიქრობ, თქვენც იგივე უნდა დაგმართნოდათ.

დიილი: ტალღებს გულისხმობთ?

ანა: თუ გნებავთ, ასე დავარქვათ.

დიილი: კაცებიც უშვებენ ტალღებს?

ანა: ზოგიერთი კი.

დიილი: გასაგებია.

პაუზა.

ანა: მოგვიანებით, როცა შევიტყვე, როგორი ადამიანი ხართ, ორმაგად გახარებული ვიყავი, ვიცოდი, ქეითს ყოველთვის აინტერესებდა ხელოვნება.

ქეითი: ოდესაც მაინტერესებდა ხელოვნება, მაგრამ არ მახსოვს რომელი სფერო.

ანა: არ მითხოდ, რომ დაგავიწყდა დღეები ტეიტის გადერებაში. გახსოვს, როგორ ვათვალიერებდით ლონდონს? როგორ ვათვულობდით პატარა ეკლესიებს და ძველ შენობებს, რომლებიც დაპობმვას გადაურჩა სიტიში, მდინარის სამხრეთ ნაპირზე, დამბერგსა და გრინგიჩში. დმერთო ჩემო, საკირაო გაზეთები გახსოვს? ქეითი ყოველთვის გატაცებით კითხულობდა იმ გვერდებს, სადაც კულტურის მიმოხილვა იბეჭდებოდა. კითხულობდა და მერე მთხოვდა, წავსულიყავით სხვადასხვა გადერებაში, თეატრში ან საეკლესიო კონცერტზე. იმდენი რამ იყო მაშინ ლონდონში სანახავი, კელადებებს ვერც ვასწრებდით, ხშირად ფული არ გვთვინდა. მახსოვს, ერთ კვირა დღეს გაზეთიდან თავი აიღო და მითხოდ, სწრაფად წავიდეთო. ხელჩანოებს ხელი დავაგლეთ და ჩვენთვის უცნობ უბანში ავტობუსით წავედით და თოქმის ცარიელ დარბაზში ვნახეთ არაჩვეულებრივი ფილმი „მარტოხელა კაცი“.

სიჩუმე.

დიილი: სამსახურის გამო ხშირად მიწევს მოგზაურობა.

ანა: გიყვართ მოგზაურობა?

დიილი: ძალიან.

ანა: შორს გიწევთ გამგზავრება?

დიილი: სამსახურის გამო თითქმის მთელ დედამიწა მაქს მოვლილი.

ანა: საბრალო ქეითი! რას აკეთებს, როცა თქვენ სამოგზაუროდ ხართ?

ანა შეხედავს ქეითს.

ქეითი: მე განვაგრძობ.

ანა: დიდი ხნით მიემგზავრებით ხოლმე?

ქეითი: დაახ, ზოგჯერ. ასე არ არის?

ანა: როგორ ტოვებო ცოლს დიდი ხნით?

დიილი: სამსახურის გამო მიწევს გამგზავრება.

ანა: (ქეითს) უნდა ჩამოვიდე ხოლმე და თქვენთან ერთად ვიყო როცა თქვენი მეუღლე გაემგზავრება.

დიილი: თქვენს ქმარს არ მოენატრებით?

ანა: რა თქმა უნდა, მაგრამ გამიგებს.

დიილი: ახლაც გაგიგებთ?

ანა: რა თქმა უნდა.

დიილი: ჩვენ მისოვის ვეგეტარიანული სადილი მოვამზადეთ.

ანა: არ არის ვეგეტარიანელი, უფრო გურმანია. ჩვენ დიდი ხანია ულამაზეს ვილაში ვცხოვრობთ, ძალიან მაღლა კლდეებში.

დიილი: და ალბათ კარგ საჭმელს მიირთმევთ.

ანა: დიახ.

დიილი: მე ცოტათი ვიცნობ სიცილიას, ასე თუ ისე, მაგალითად ტაორმინას. თქვენ ტაორმინაში ცხოვრობთ?

ანა: ცოტა მოშორებით.

დიილი: ა, ცოტა მოშორებით. ე.ი. საკმაოდ მაღლა. მე ალბათ თქვენი ვილისთვისაც მომიქრავს თვალი.

(პაუზა). სამსახურმა სიცილიაში ჩამიყვანა. ჩემი სამუშაო ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს, დედამიწის ნებისმიერ ნაწილში, ეხება ხალხს მთელს დედამიწაზე. მე ვიყენებ სიტყვას დედამიწა, რადგან სიტყვამ მსოფლიო ზედმეტად უმოციური, პოლიტიკური და სოციოლოგიური

დატვირთვა შეიძინა, რაზეც მე უარი ვთქვი, ან საერთოდ გამოვრიცხე, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ. რას შევბა თქვენი იახტა?

ანა: გმადლობთ, კარგ მდგომარეობაშია.

დიილი: კაპიტანს კურსი პირდაპირ უჭირავს?

ანა: იმის მიხედვით, თუ რა გვსურს, პირდაპირ თუ მოვინდომებთ...

დიილი: დაბრუნების შემდეგ არ გქჩენებათ, რომ ინგლისი ძალიან ნებტიანია?

ანა: სწორედ ეს არის მისი ხიბლი.

დიილი: სწორედ ეს არის მისი ხიბლი (თავისთვის) ეს რადა ჯანდაბას ნიშნავს? (პაუზა).

ყოველთვის, როცა ოქენი მეუღლე ჩვენს მიდამოებში მოხვდება, ჩემი პატარა ცოლი

მოსარული იქნება ძველი ქაბი ძველ გაზტურაზე შემოღვას, და რამე გემრიელი მოამზადოს.

ეს ჩვენთვის შეწუხება არ იქნება (პაუზა). ვფიქრობ, დაკავებულია და ამიტომ ვერ შეძლო

ჩვენთან ჩამოსვლა. რა ქვია ჯან კილო თუ პერ პაულო?

ქეითი: (ანას) მარმარილოს კიბეები გაქვთ?

ანა: დიახ.

ქეითი: და ფეხშიშველა დადინხართ?

ანა: დიახ, მაგრამ ტერასაზე სიარულისას სანდლებს ვიცმევ, ტერფები რომ არ მეტყინოს.

ქეითი: ალბათ, მზისგან გახურებულია.

ანა: დიახ.

დიილი: სიციალიაში არაჩვეულებრივი ჯგუფი მყავდა, შესანიშნავი ოპერატორი ირვინ შულცი.

თავის საქმეში საუკეთესო. ჩვენ შეგმენით მშვენიერი მარტივი ფილმი პატარა მოხუცი

ქალებზე შავებში. მე სცენარი დავწერე და გადავიდე, ორსონ უელსი ვარ.

ქეითი: (ანას) დილაობით ალბათ ფორთოხლის წვენს მიირთმევთ ტერასაზე, მზის ჩასვლისას

კი კოქტეილებს და თან ზღვას გადაუკრებთ.

ანა: დიახ, ზოგჯერ.

დიილი: სიმართლე გითხრათ, მე ჩემი პროფესიის მწვერვალს მივაღწიე, გაითვალისწინეთ ეს.

ხშირად მიწევს ურთიერთობა შემოქმედებით, მგრძნობიარე ადამიანებთან, ადამიანებთან

რომელებიც ყველაფერს იკადრებენ.

ქეითი: (ანას) მოგწონთ სიცილიელები?

დიილი: ნამყოფი ვარ იქ. არაფერია იქ სანახავი ან აღმოსაჩენი, აღარაფერი დარჩა სიცილიაში სანახავი.

ქეითი: (ანას) მოგწონთ სიცილიელები?

ანა გაოცებული უყურებს

სიჩუმე.

ანა: (მშვიდად) ამ საღამოს არსად წავიდეთ, შინ დარჩეთ. რამეს მოვამზადებ, შეგიძლია

აბაზანა მიიღო, დავისვენოთ და სიმღერებს მოვუსმინოთ.

ქეითი: არ ვიცი. შეგვეძლო საღმე წავსულიყავით.

ანა: მართლა გინდა სადმე წასვლა?

ქეითი: შეგვიძლია პარკში გავისეირნოთ

ანა: პარკი დამით ბინბურია, საშინელი ხალხით არის სავსე, კაცები ხეებს ეფარებიან, ქალები

საშინელი ხმით გაჰკიფიან, როცა გეერდზე ჩაუვლი, ხეების უკან დამალული ადამინები

მოულოდნელად გამორბიან, ყველან ჩრდილებია, პოლიცია დამტრის. ეს გასეირნება ნამდილ

კოშმარად გექცევა. ეს საშინელი მოძრაობა და მანქანის ხმაური, რომელიც გაწუხებს,

ყველგან განათებული სასტუმროები. შეგძლდება ეს ყველაფერი, ხალხი სასტუმროს

განათებულ ფოიეში, რომელიც განუწყვეტლივ მოძრაობს და ლაპარაკობს, თან ეს სასტუმროს

ჭალები... (პაუზა) როგორც კი გარეთ გახვალ, შინ დაბრუნება მოგინდება, სახლში გამოქვევა...

საუზარ ოთახში გამოკეტვა...

პაუზა.

ქეითი: აბა რა გავაკეთოთ?

ანა: შინ დავრჩეთ. წაგიკითხავთ, თუ მოისურვებთ.

ქეითი: არ ვიცი.

პაუზა.

ანა: არ გშიათ?

ქეითი: არა.

დიილი: ასეთი სადილის შემდეგ?

პაუზა.

ქეთით: ვერ გადაეწყვიტე ხვალ რა ჩავიცვა.
ანა: მწვანე ქვედაბოლო.

ქეთით: შესაფერისი ზედა არ მაქვს.

ანა: როგორ არა...

ქეთით: უხდება ერთმანეთს?

ანა: რა თქმა უნდა.

ქეთით: კარგი, მოვიზომებ.

პაუზა.

ანა: თუ გნებავთ ვინმეს დავპატიჟებ.

ქეთით: ვის?

ანა: ჩარლის... ან ჯეის.

ქეთით: არ მომწონს ჯეიკი.

ანა: მაშინ ჩარლი... ან...

ქეთით: ვინ?

ანა: მაკევიძი.

პაუზა.

ქეთით: აბაზანაში ვიფიქრებ ამაზე.

ანა: მოგიმზადებ.

ქეთით: (დგება) დღეს თვითონ მოვიმზადებ.

ნელა მიღის საწოლი ოთახის კარებთან, გადის და ხურავს კარს.

დიილი დგება, ანას უყურებს. ანა თავს მისკენ აბრუნებს. ერთმანეთს უყურებენ.

დასასრული

მეორე მოქმედება

საწოლი ოთახი.

მაღალი ფანჯარა ცენტრში, აბაზანის კარი მარცხენა მხარეს, მისაღები ოთახის კარი
მარჯვენა მხარეს.

ორი დივანი და სავარძელი ისეა განლაგებული, როგორც პირველ მოქმედებაში, მხოლოდ
საპირისპირი წყობით.

სუსტად განათებული სცენა. ანა დივანზე ზის. მკრთალი შექი გამოდის აბაზანის კარის
ფანჯრიდან.

სიჩუმე.

შექი ინთება, იღება კარი და დიილი შემოდის ლანგრით ხელში.

ოთახში შემოდის და ლანგარს მაგიდაზე დებს.

დიილი: შეგვიძლია ცხელი, მაგარი ყავა მივირთვათ. რძიანი და შაქრიანი გირჩევნიათ?

ანა: დიახ, თუ შეიძლება.

დიილი: (ყავას ასხავს) მაგარი, ცხელი რძიანი ყავა შაქრით (ფინჯანს აწვდის). მოგწონთ ეს
ოთახი?

ანა: დიახ.

დიილი: ჩვენ აქ გვინავს. ეს ჩვენი ლოგინებია. ძალიან მომწონს, მათი დადგმა ნებისმიერ
ადგილას შეიძლება, განცალკევებაც შეიძლება როგორც ახლა არის. დადგმა შეიძლება
ნებისმიერი ჯუთხით, შეძლება ერთმანეთს შეაზე ყოფდნენ, შეგვიძლია ფეხებით დავიძინოთ
ერთმანეთისკენ ან თავით ან გაერდინგერდ. ეს ბორბლების საშუალებით არის შესაძლებელი.
(დიილი ჯდება ყავის ჭიქით ხელში). მე თქვენ შესანიშნავად მახსოვხართ ვეიფეირიდან.

ანა: საიდან?

დიილი: ვეიფეირის ტავერნიდან, ბროფტონ როუდთან.

ანა: ეს როდის იყო?

დიილი: წლების წინ.

ანა: არა მგონია.

დიილი: ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ იყავით. არასდროს მავიწყდება სახეები. ძალიან ხშირად იჯექით ხოლმე კუთხეში მარტო ან ვიდაცეებთან ერთად. წარმოუდგენელია – იგივე ქალი ჩემს სოფლის სახლში ზის. ერთი ახალგაზდა კაცი დადიოდა ხშირად – ლუკი, თქვენ მას იცნობდით.

ანა: ლუკი? დიილი: მაღალი, უდალი თმით და წვერით.

ანა: არ მახსოვს.

დიილი: მთელი არმია იყო ასეთი ადამიანების - პოეტები, პიროტექნიკოსები, უოკეები, კომიკოსები და ა.შ. თქვენ შავ მოსახვევს ატარებდით, შავი სვიტერი და ქვედა ბოლო გაცვათ.

ანა: მე?

დიილი: და შავი წინდები. არ მითხათ, რომ ვეიფერის ტავერნა დაგავიწყდათ. შეიძლება სახელი ადარ გახსოვთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის ადგილი არ დაგვიწყებიათ, თქვენ ამ ბარის საყვარელი გოგონა იყავით.

ანა: მე მდიდარი არ ვეოფილვარ, სასმელისთვის ფული არ მქონდა.

დიილი: ესკორტი გყვდათ და არაფერს იხდიდით, თქვენზე სხვები ზრუნავდნენ. მე თავადაც დაგპატიუეთ სასმელზე ერთი-ორჯერ.

ანა: თქვენ?

დიილი: დიახ, დიახ.

ანა: არახსოდეს.

დიილი: ეს სიმართლეა, ძალიან კარგად მახსოვს.

პაუზა.

ანა: თქვენ?

დიილი: მე თქვენ სასმელი გიყიდეთ. (პაუზა). ეს ალბათ ოცი წლის წინ იყო აღმოდის, აღრეც შევხვედრივართ ერთმანეთს.

დიილი: რა თქმა უნდა შევხვედრივართ. (პაუზა) აღრეც გვილაპარაკია. ერთხელ იმ ბარში კუთხეში ვიჯექით. ლუკას ეს არ მოწონდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. მოგვიანებით წვეულებაზე წაგებით ვიდაცის ბინაში ვესტბორნ გრუვში. თქვენ ძალიან დაბალ სავარძელზე იჯექით, მე პირდაპირ ვიჯექი და გიყურებდით, შავი წინდები კიდევ უფრო შავი იყო თეთრ ფეხებთან შედარებით. ეს ყველაფერი ადარ არსებობს, ასე არ არის? ადარაფერია მათში ღირსშესანიშავი. მაშინ, იმ დამეს კი ღირდა ყურება, ვიჯექი, ლუდი ვწრუპავდი და გიყურებდით, თქვენს ქვედა ბოლოსვურებდი, წინააღმდეგი არ იყავით.

ანა: ვიცოდი, რომ მიყურებდით?

დიილი: ამ დროს ოთახში რაღაცაზე კამათობდნენ – ჩინეთზე თუ სიკვდილზე, ანდა სიკვდილზე ჩინეთში, ადარ მახსოვს, მაგრამ არავის პქინდა ისეთი სანახაობა თვალწინ, როგორიც მე, არავის პქინდა ისეთი საკოცნელი ბარძაყები თვალწინ, როგორიც მე და არავის პქინდა ისეთი ბარძაყები, როგორიც თქვენ. და აი ახლა აქ ხართ, იგივე ქალი, იგივე ფეხებით. (პაუზა) თქვენი მეგობარი გოგონა მოვიდა, დივანზე გვერდით დაგიჯდათ, ლაპარაკი და სიცილი დაიწყეთ. მე უფრო დაბალ სავარძელში ჩავჯექი, ორივესთვის რომ მეყურებინა, ორივეს ფეხებისთვის. თქვენ იცოდით, რომ გიყურებდით, მან არ იცოდა. მაგრამ ცოტა ხანში იქ მყოფი კაცები შემომეხვივნენ, აინტერესებდათ ჩემი აზრი ჩინეთსა თუ სიკვდილიანობაზე. ჩემსკენ იხრებოდნენ, მე მათ არასასაიმოვნო სუნთქვას ვგრძნობდი, ჩამტრეულ კბილებს და ცხვირში ამისულ თმას ვხედავდი, სავარძლის სახელურზე მისხდებოდნენ და მელაპარაკებოდნენ, იძულებული ვიყავი, ავმდგარიყავი და მათ შორის გზა გამეგვლია. ისინიც მოყვებოდნენ თავიანთი აგრესიული მანერებით, თითქოს მე ვიყავი მათი კამათის მიზეზი. უკან მოვიხედე, ლინოლიუმიანი მაგიდიდან კიდევ ერთი ბოთლი ლუდი ავიდე. გაბოლილ ოთახში კიდევ ერთხელ მოვარი თვალი თრ გოგოს, რომელთაგანც ერთი თქვენ იყავით, თავები ახლოს გქონდათ მიგანილი და რაღაცაზე ჩურჩულებდით, რამდენიმე წამში უკვე ვედარ გხედავდით, ვეღარ გხედავდი წინდებს და ფეხებს. მალე წახვედით. დივანთან რომ მივბრუნდი, აღარავინ იყო, დიგანს ჯერ ისეგ ეტყობოდა ოთხი ნაკვალევი, ორი აქედან თქვენი იყო (პაუზა).

ანა: ძალიან სევდიანი ისტორიაა.

დიილი: გეთანხმებით.

ანა: ძალიან ვწუხვარ.

დიილი: არავერია. (პაუზა) ამის შემდეგ აღარ მინახისართ, აღარ გამოჩენილხართ, ალბათ სხვაგან გადახვედით.

ანა: არსად გადაგსულვარ.

დილი: არც ვეიფეირის ტავერნაში მინახისართ ამის შემდეგ. სად იყავით?

ანა: ალბათ კონცერტებზე ან ბალეტზე (სიჩუმე). ქვითი დიდ დროს ანდომებს აბაზანის მიღებას.

დილი: ხომ იცით როცა ბანაობას იწყებს.

ანა: დიახ, ვიცი.

დილი: ძალიან უყვარს და დიდხანს რჩება ხოლმე, ნებივრობს აბაზანაში.

ანა: დიახ, ნამდვილად.

დილი: ძალიან დიდხანს რჩება, მთელ სხეულს საგულდაგულოდ ისაპნავს, შემდეგ ნელ-ნელა ჩამოიბანს, ამას მთელი გულისყურით აკეთებს. სათითაოდ გაივლის სხეულის ყველა ნაწილს, ამას ყველა დანარჩენი საქმისგან განსხვავებით ძალიან გულისყურით აკეთებს. აბაზანიდან იღეალურად სუფთა გამოდის. ასე არ არის?

ანა: დიახ, იდელურად სუფთა.

დილი: პატარა ლაქაც კი არსად აქვს, სულ მცირეც კი, სარკესავით კრიალებს.

ანა: დიახ, თითქოს ლივლივებს.

დილი: ეს რას ნიშანავს?

ანა: ის თითქოს ლივლივებს აბაზანის შემდეგ, თითქოს ოცნებაშია. ვერც ამჩნევს, რომ ვიდაც პირსახოცით ხელში დგას და ელოდება. სრულიად შთანთქმულია (პაუზა). სანამ პირსახოცს არ მოახურავენ.

პაუზა.

დილი: დიახ, გამშრალებას თავისით ვერც ახერხებს, ძალიან გულმოდგინეთ იხეხავს სხეულს ბანაობის დროს, მაგრამ გამშრალებას ვერ ახერხებს, რამდენიმე წვეთი მაინც ყოველთვის ეწერება.

ანა: თქვენ რატომ არ ამშრალებთ?

დილი: მირჩევთ ამის გაკეთებას?

ანა: თქვენ ამას როგორც საჭიროა ისე გააკეთებთ.

დილი: მისი პირსახოცით?

ანა: როგორ?

დილი: რა როგორ?

ანა: როგორ უნდა გაამშრალოთ კარგად? თავისი პირსახოცით?

დილი: არ ვიცი.

ანა: თქვენ გაამშრალეთ თავისი პირსახოცით.

პაუზა.

დილი: თქვენ გაამშრალეთ.

ანა: მე?

დილი: თქვენ ამას კარგად გააკეთებთ.

ანა: არა.

დილი: რა თქმა უნდა, ქალმა უკეთესად იცის სად გროვდება მეტი სისველე ქალის სხეულზე. ანა: არც ერთი ქალი არ არის ერთნაირი.

დილი: ეს სიმართლეა. (პაუზა) შესანიშნავი აზრი დამებადა, ამის გაკეთება პუდრით შეიძლება.

ანა: ეს შესანიშნავი აზრია?

დილი: არაა?

ანა: აბაზანის შემდეგ პუდრის მოყრა ჩვეულებრივი ამბავია.

დილი: ჩვეულებრივია, როცა ამას თვითონ აკეთებ, მაგრამ როცა სხვა გიკეთებს, საიდანაც მე ვარ ეს ნამდვილად არ არის მიღებული, დედაქემი ძალიან გაოცდებოდა (პაუზა). გადავწყვიტე, ყველაფერს თვითონ გავაკეთებ, გავამშრალებ და ტალკს მოვაყრი, ბოლოს და ბოლოს მისი ქმარი ვარ. თქვენ შეგიძლიათ მეთვალყურეობა გაუწიათ ამ პროცესს და რჩევები მომცეო. ასე ორ კურდღელს მოვკლავ (პაუზა). (თავისთვის): დმერთო... (ნელნელა თავს აწევს და ქალს შეხედავს) თქვენ ეხლა, ალბათ, ორმოცი წლის იქნებით (პაუზა).

ეხლა რომ შემოვსულიყავი ვეიფეირის ტავერნაში და თქვენ კუთხეში მჯდარიყავით, ვერც გიცნობდით.

აბაზანის კარი იღება, ქვითი შემოდის, აბაზანის ხალათი აცვია. უდიმის ანას და დილს.

ქვითი: (სიამოვნებით) ააჲ.

ქეთი ფანჯარასთან მიდის და გარეთ იყურება. დიილი და ანა უყურებენ. დიილი ჩუმად იწყებს სიმღერას.

The way you wear your hat...

ანა: (მღერის) The way you sip your tea...

დიილი: (მღერის) The memory of all that...

ანა: (მღერის) No, no, they cant take that away from me...

ქეთი ბრუნდება და უყურებს.

ანა: (მღერის) The way your smile just beams...

დიილი: (მღერის) The way you sing off key (სიმღერის დროს ტაქტის ერვა)

ანა: (მღერის) The way you haunt my dreams...

დიილი: (მღერის) No, no, they cant take that away from me...

ქეთი მათკენ მოდის, იღიმება. დიილი და ქეთი აგრძელებენ სიმღერას, უფრო სწრაფად და არეულად.

ანა: (მღერის) The way you hold your knife...

დიილი: (მღერის) The way we danced till three...

ანა: (მღერის) The way you've changed my life...

დიილი: (მღერის) No, no, they cant take that away from me...

ქეთი: გმადლობთ, თითქოს თავიდან დავიბადე. აქაური წყალი საქმაოდ რბილია ლონდონთან შედარებით. ყიველთვის ვთვლიდი, რომ ლონდონში ხისტი წყალია. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც სოფელში ცხოვრება მირჩევნია. აქ ყველაფერი უფრო რბილია: წყალი, შუქი,

ჩრდილები, ხმები – ყველაფერი შერპილებულია, მკვეთრი წახნაგებისგან თავისუფალია.

ზღვასთან სიახლოვეც მომწონს. მას არც დასასრული აქვს, არც დასაწყისი, რაც ძალიან მომწონს. არ მიყვარს მკვეთრი ხაზები. არ მიყვარს ცხოვრების აჩქარებული ტემპი.

სიამოვნებით წავიდოდი რომელიმე აღმოსავლერ ქვეყანაში, სადაც ძალიან ცხელა, წამოვწვებოდი კოდოებისგან დამცავი ძალის ქვეშ და მშვიდად ვისუნოქებდი. ისეთ ადგილას, სადაც კარავიდან ქვიშის დანახვა შეიძლება. ერთადერთი, რაც დიდ ქალაქში მომწონს, წვიმაა. წვიმის დროს ყველაფერი ბუნდოვანი ხდება, მანქანის სინათლე აღარ ჭრის თვალს, მხედველობა გებინდება, როცა წამწამებზე წვეთები ჩამოგეკიდება. ეს ერთადერთი სასიამოვნო რამაა ქალაქში.

ანა: არა, ეს არ არის ერთადერთი სასიამოვნო რამ. შეგიძლია მყუდრო ოთახი გქონდეს, ანთებული ქურა, თბილი ხალათი და ცხელი სასმელი. კარგია, როცა ეს ყველაფერი სახლში მოსულს გვხდება.

ქეთი: ეხლა წვიმს?

ანა: არა.

ქეთი: გადავწყვიტე, დღეს არსად წავიდე.

ანა: ძალიან კარგი, შეგიძლია აბაზანის შემდეგ ერთი ჭიქა მაგარი ყავა მიირთვა. (ანა დგება, მაგიდასთან მიდის და ყავას ასხავს). შემიძლია შავ კაბას შეუკეცო, შენ მოიზომე.

ქეთი: ჰმ.

ანა ყავას აწოდებს ქეთს.

ანა: თუ გნებავთ წაგიკითხავთ.

დიილი: ქეთ, კარგად გაიმშრალე?

ქეთი: დიახ.

დიილი: დარწმუნებული ხარ? ყველგან?

ქეთი: დიახ, საქმაოდ მშრალად ვგმოობ თავს.

დიილი: დარწმუნებული ხარ? არ მინდა აქ სველი იჯდე. (ქეითი იღიმება). ხედავთ ამ ლიმილს, ის ლიმილია, ასე მაშინ მიღიმოდა როცა ქუჩაში გვერდით მომყვებოდა იმ ფილმის ნახვის შემდეგ, თუმცა არა, უფრო მოგვიანებით.

ანა: არაჩვეულებრივი დიილი აქვს.

ქეითი: მე ისევ ვიღიმები.

დიილი: ისე არა, როგორც ერთი წელის წინ, და ისე არა, როგორც მაშინ (ანას). იცით რომელ ლიმილზე ვლაპარაკობ?

ქეითი: ყავა ცივია.

პაუზა.

ანა: მაპატიეთ ახალს გავაკეთებ

ქეითი: არა, არ მინდა გმადლობთ (პაუზა) ჩარლი გვეხტუმრება?

ანა: დავურევავ თუ გინდათ?

ქეითი: მაკეიბი?

ანა: ნაძღვილად გინდა ვინმეს ნახვა?

ქეითი: არ მომწონს მაკეიბი.

ანა: არც მე.

ქეითი: უცნაური ადამიანი და ჩემთვის გაუგებარ რაღაცებს მეუბნება.

ანა: მაგალითად?

ქეითი: სხვადასხვა სასაცილო რაღაცებს.

ანა: ეგ კაცი არასოდეს მომწონდა.

ქეითი: დუნკანი კი სასიამოვნო ადამიანია.

ანა: დიახ.

ქეითი: მისი ლექსები ძალიან მომწონდა. (პაუზა) იცი ვინ მომწონს ყველაზე მეტად?

ანა: ვინ?

ქეითი: კრისტი.

ანა: ძალიან საყვარელია.

ქეითი: ძალიან რბილი ადამიანია, იუმორის გრძნობაც აქვს, თან ძალიან მგრძნობიარეა. იქნებ ვთხოვთ, რომ მოვიდეს.

დიილი: ვერ დაგპატიუებთ, სადღაც გაემგზავრა.

ქეითი: სამწუხაროა.

პაუზა.

დიილი: (ანას) ინგლისში კიდევ ვინმეს მონახულებას აპირებთ? ნათესავების? ბიძაშვილების?

ანა: არა, აქ ქეითის მეტი არავის ვიცნობ.

პაუზა.

დიილი: თქვენი აზრით, ქეითი შეცვლილია?

ანა: ოდნავ (ქეითს) ისევ მორცხვი ხარ?

ქეითი: გაოცებული შეხედავს (დიილის). პირველად რომ გავიცანი, შელის ნუკრივით მორცხვი იყო. როცა ვინმე მასთან სალაპარაკოთ დაიხრებოდა, ის შორს იწეოდა მათვან. თითქოს იქვე იდგა, მაგრამ უკვე მიუწვდომელი იყო. მიუწვდომელი სასაუბროდ ან შესახებად. მე ვთვლი, რომ ეს ადზრდის ბრალია. მდგრდლის ქალიშვილი – არის მისში რაღაც ბრონტესეული.

დიილი: მდგრდლის ქალიშვილი?

ანა: ის არ იყო ბრონტე ვნებაში, მაგრამ ის იყო ბრონტე იდუმალებაში, ძალიან ჯიუტი და ჩაკეტილი ადამიანი.

(პატარა პაუზა) მასსოგეს, პირველად რომ გაწითლდა.

დიილი: როდის? უფრო სწორად რის გამო?

ანა: როცა მისი საცვლები ვითხოვვ ერთ წვეულებაზე წასვლის წინ. მერე გამოუტყვდი ამაში, ცხადია, ცუდად მოვიქეცი. რომ მოუყევი, გაოცებისგან ხმა ვერ ამოიღო. ისიც ვუთხარი, რომ დავისაჯე ჩემი დანაშაულისთვის – წვეულებაზე ერთი კაცი მთელი საღამო ჩემს ფეხებს

უყურებდა

პაუზა.

დიილი: მაშინ გაწითლდა?

ანა: დიახ.

დიილი: თქვენს ფეხებს ვიდაც უყურებდა მის საცვლებში...

ანა: ოუმცა იმ სადამოს შემდეგ, თვითონ მთავაზობდა, მისი საცვლები ჩამეცვა, მას უფრო მეტი ჰქონდა. როცა მთავაზობდა, წითლდებოდა. ყოველთვის ვუყვებოდი, როცა რაიმე საინტერესო მოხდებოდა.

დიილი: წითლდებოდა?

ანა: ამას ვერ ვხედავდი. გვიან ვბრუნდებოდი შინ, ის ლამფის შუქზე კითხულობდა. როცა მოყოლას ვიწყებდი, შექს თიშავდა, სიბრუნვეში ვლაპარაკობდი. სიბრუნვეში მოსმენა ერჩივნა, მაგრამ ოთახში მაინც ყოველთვის იყო მკრთალი სინათლე გაზქურიდან ან ქუჩიდან შემოსული, მაგრამ ვერ ამჩნევდა. ისეთ ადგილს ვარჩევდი ოთახში, საიდანაც მისი სახის დანახვა შემექლო, თვითონ ვერ ხედავდა ჩემს სახეს, მხოლოდ ხმა ესმოდა. ის მისმენდა, მე ვაკირდებოდი.

დიილი: იდგალური ქორწინებასავით ქდერს.

ანა: ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვიყავით.

პაუზა.

დიილი: თქვენ თქვით, რომ ის იყო ბრონტე იდუმალებაში, მაგრამ არა გრძნობებში. როგორი იყო გრძნობებში?

ანა: ვფიქრობ, ეს მხოლოდ თქვენ გეხებათ.

დიილი: ასე ფიქრობთ? მართალი ხართ, დალახვროს ეშმაკმა! ეს მხოლოდ მე მეხება, მიხარია, რომ ვიდაცამ ბოლოს და ბოლოს ტაქტი გამოიჩინა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჩემი საქმეა, მე მისი ქმარი ვარ (პაუზა).

ნუთუ მე ერთადერთი ვარ, ვისაც ეს ყველაფერი უტაქტობად ეჩვენება?

ანა: რას გულისხმობთ? რომიდან ჩამოვედი, რომ ჩემი ყველაზე ძველი მეგობარი მოქნახულებინა რცი წლის შემდეგ და მისი მეუღლე გამეცნო. რა არ მოგწონთ?

დიილი: თქვენს ქმარზე ვფიქრობ, რომელიც მარტო დაბოდიალობს უზარმზარ ვილაში, მხოლოდ მოხარშეულ კვერცხს ჭამს და ერთ სიტყვასაც ვერ ამბობს ინგლისურად.

ანა: ვუთარგმნი, როცა საჭიროა.

დიილი: მაგრამ თქვენ აქ ხართ, ჩვენთან. ის კი მარტოა, ტერასაზე დადის და კატერს ელოდება, რომელიც არაჩვეულებრივ ხალხს ჩამოიყვანს, ლამაზ, ხმელთაშუაზღვისპირელ ხალხს. მის გარშემო ყველაფერია, რაზეც წარმოდგენაც არ გვაქს – ლობსტერი და ლობსტერის წვნიანი, მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფეხები და ყველაზე რბილი ხმა. ახლაც თითქოს ჩამესმის ეს ხმა. პირდაპირ ვთქვათ ვყველაფერი, ბევრი რამ მინახავს მსოფლიოს ყველა ნაწილში, ბევრჯერ მინახავს დანაკარგი და შეურაცხეოფა, რატომ უნდა დავკარგო ძვირფასი დრო ორი.

ქეთით: (შეაწევეტინებს) თუ რამე არ მოგწონთ, შეგიძლიათ წახვიდეთ

პაუზა,

დიილი: სად უნდა წავიდე?

ქეთით: ჩინეთში ან სიცილიაში.

დიილი: მე არ მყავს კატერი არც თეთრი კოსტუმით მაქს.

ქეთით: მაშინ ჩინეთში წადით.

დიილი: იცი, რას მიზანებ ჩინეთში თეთრი კოსტუმით რომ ჩავიდე? დაუფიქრებლად მომკლავენ.

პაუზა პაუზა.

ანა: შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მესტუმროთ სიცილიაში, ორივე-

სიჩუმე.

ქეთით და დიილი გაოცებულები უყურებენ.

ანა: (დიილის ჩუმად) მინდა იცოდეთ, რომ მე აქ თქვენთვის ხელის შესაშლელად არ ჩამოვსულვარ, ჩამოვედი, რომ ვიზეიმო (პაუზა)... რომ ვიზეიმო, ძველი და ძალიან ძვირფასი მეგობრობა. ჩვენი მეგობრობა ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე თქვენ ჩვენი არსებობის შესახებ შეიტყობდით (პაუზა). ის მე ვაპოვვე. ჩემი წყალობით გაიცნო უმრავი გამორჩეული ადამიანი. მე დამყავდა კაფეებში, სადაც მხატვრები, მწერლები და ზოგჯერ მსახიობები და მოცემავეები იკრიბებოდნენ. ჩვენ ყავის ჭიქასთან ვისხედით და ჩუმად ვუგდებდით ყურს ცხოვრებას. მე მისოვის მხოლოდ ბედნიერება მინდოდა, ეხლაც მხოლოდ ბედნიერებას ვუსურვებ.

დიილი: (ქეთის) ჩვენ ხშირად შევხვედრივართ, მე და ანა. (ქეთი შეხედავს) ერთმანეთს ვეიფეირის ტავერნაში შეეხდით. კუთხეში იჯდა. მოვეწონე, მაშინ საკმაოდ წარმოსადეგი ვიყავი, მოდურად ვიცმევდი, ხვეული თმა მქონდა... ფული არ ჰქონდა და სასმელზე დავპატიუე.

გაფართოებული თვალებით მიყურებდა, თითქოს მორცხვობდა. თავს თქვენად ასაღებდა, რაც საკმაოდ კარგად გამოირობდა, მაშინაც თქვენი საცვლები უცვა, დიდსულოვნად მომცა უფლება ისინი მენახა. რა გულუხვობაა, ქალისთვის ეს საოცარი თვისებაა. მოგვიანებით წვეულებაზე წავედით, ფილოსოფოსების წვეულებაზე, საკმაოდ სასამოვნო საზოგადოება იყო ედჯვეარ როუდიდან. რამდენი წელია, არც ერთიც არ მინახავს – ძველი მეგობრები, რომლებიც ბევრს ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ თავიანთ იდეებზე. ეს ადამიანები ნამდვილად მენატრება, ალბათ, ადარც არიან ცოცხლები. მას შემდეგ არც ერთი ადარ მინახავს, მეიდა ველეს ჯგუფი, დიდი ერიკი და პატარა ტონი, სადღაც პედინგტონის ბიბლიოთეკასთან ცხოვრობდნენ. სანამ წვეულებაზე მივიღოდით, გზაზე ყავაზე დავპატიჟე. მაშინ საკუთარი თავი შენ ეგონე, ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. ან იქნებ შენ იყავი? შეიძლება ჩემთან ერთად შენ გსვავდი ყავას და თოქმის არაფერს ამბობდი.

პაუზა.

ქვეთი: როგორ გგონია რა იზიდავდა შენში?

დიილი: არ ვიცი. რა?

ქვეთი: ეჩვენებოდა, რომ შენი სახე მგრძნობიარე და დაუცველი იყო.

დიილი: მართლა?

ქვეთი: უნდოდა, ამ სახეს მოფერებოდა ისე, როგორც ეს მხოლოდ ქალს შეუძლია.

დიილი: მართლა?

ქვეთი: დიაბ.

დიილი: ისე, როგორც ეს მხოლოდ ქალს შეუძლია?

ქვეთი: ის მზად იყო თავი შენთვის მოძღვნა.

დიილი: უკაცრავად?

ქვეთი: შეუქარდით.

დიილი: მეე?

ქვეთი: შენ ძალიან განსხვავდებოდით სხვებისგან, ის კაცები, რომლებსაც იცნობდა უხეშები და დაუნდობლები იყვნენ.

დიილი: მართლა არიან ასეთი კაცები, დაუნდობლები?

ქვეთი: დიაბ.

დიილი: მისი ქვედაბოლოს თვალიერება არ იყო უხეშობა?

ქვეთი: ეს არ არის უხეშობა.

დიილი: მე მის კაბას კი არა, მას გუყურებდი.

ანა: (ცივად) არა, ეს ჩემი კაბა იყო, მე ვიყავი. მახსოვს თქვენი მზერა, თქვენც კარგად მახსოვებართ.

ქვეთი: (ანა) მე შენ მკვდარი მახსოვებარ. (პაუზა). მახსოვს თქვენი მკვდარი სხეული. არ იცოდით, რომ გითვალფალებდით. სახე ჭუჭყიანი გქონდათ, ზედ წარწერები გქონდათ, საღებავი გადადანილი იყო და კისერზე ჩამოგდიოდათ. თუმცა ლოგინი სუფთა იყო.

ქმაყოფილი ვიყავი, არ მინდოდა თქვენი სხეული ჭუჭყიან თეორეულზე ყოფილიყო. ეს შეუფერებელი იქნებოდა, რადგან კველაფერი მეც მეხებოდა, ჩემს ოთახში ხდებოდა, ჩემს ოთახში იწევი. როცა გაგებვითათ, მე თავზე დაგეურებდით, შეეცადეთ ჩემი მეთოდი გამოეყენებითათ, ჩემი მორცხვი დიმილი, თავის დახრა, ნახევრად დახუჭული თვალები. მაგრამ ამან არ გიშევლა, მხოლოდ ჭუჭყი ჩაგრჩა ტუნის კუთხებში, დიმილი სახეზე მიგეყინა.

მინდოდა თქვენი ცრემლები მენახა, მაგრამ არ ტიროდი.

თვალის გუები ადარ გიჩანდათ, სახის ძვლები გემსხვეობდა. მაინც ძალიან მშვიდი იყავით, სახეზე ტანჯვა არ გეტყობოდათ. თითქოს ეს ყველაფერი სხვას შეემთხვა. უაკანასკნელი ზიარება არ ჩავთვალე საჭიროდ... ჩავთვალე, რომ დრო – სეზონი შესაფერისი იყო, მარტობაში სიკვდილი და ჭუჭყიანი სახეც შესაფერის გარემოს ქმნიდა. ჩემთვის კი აბაზანის მიღების დრო იყო. საქმაოდ დიდხანს ვიბანდი, შემდეგ გამოვდი, სისუფთავისგან ვბრწყინავდი, სკამი მოვიტანე, თქვენს გვერდით დავჯეჭი შიშველი და გოყურებდი (პაუზა).

როცა ის მოვიყვანე, რა თქმა უნდა, შენი სხეული იქ აღარ იყო. ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემს ოთახში სხვა სხეული იყო, მამაკაცის სხეული, რომელიც განსხვავებულად იქცეოდა, ისე, როგორც ეს კაცებს ჩვევიათ. მაგალითად, სავარძლის სახელურზე ჯდებოდა და ა.შ. ორ საწოლს შორის გვქონდა არჩევანი, თქვენსა და ჩემს საწოლს შორის. შეგვეძლო შიგ ჩაწოლილიყვაით ან ზემოდან დავწოლილიყავით. შენი საწოლი მოეწონა, ის იქ სხვანაირი ჩანდა, რადგან მამაკაცი იყო. ერთ დამეს ვთხოვე რაღაცის გაკეთების უფლება მოეცა ჩემთვის. თქვენს საწოლზე იწვა, კმაყოფილი იყო, ფიქრობდა, რომ მისი ნასწავლის გამოყენებას

ვაპირებდი და ინიციატივას გამოვიჩნდი, რასაც დიდხანს ელოდა. მე ჩვენს ფანჯარასთან შენს მიერ დარგული ყვავილების ქოთხებიდან მიწა ამოვიდე და სახეზე წავუსვი. გაოცებისგან ხმას ვერ იღებდა, ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია, არ მაძლევდა უფლებას, მისი სახე დამესვარა. სამაგიეროდ ქოწინება შემომთავაზა და გარემოს გამოცვლა. (პატარა პაუზა). ორივე უმნიშვნელო იყო (პაუზა). მანამდე ცოტა ხნით ადრე მკითხა, ვის ეძინა იმ ლოგინში მანამდე. მე ვუთხარი, რომ არავის, არავის არ ძინებია.

ხანგძლივი სიჩუმე. ანა დგება, კართან მიდის, ჩერდება და უყურებს. სიჩუმე. დიილი ჩუმად ტირილს იწყებს.
ანა გაუნძრევლად დგას. ანა ბრუნდება, ნათურას გამორთავს, დივანზე ჯდება, შემდეგ წვება.
ტირილი წყდება
სიჩუმე. დიილი დგება, რამდენიმე ნაბიჯს გადადგავს, ორივე დივანს შეხედავს. ანასთან მიდის,
უყურებს, ქალი გაუნძრევლად წევს. სიჩუმეა. დიილი კარებიასკენ მიდის, ჩერდება, ზურგით
დგას. სიჩუმეა, დიილი ბრუნდება, ქეითის დივანთან მიდის, ჯდება, კალთაზე თავს ადებს.
ხანგძლივი სიჩუმე. დიილი ნელა ჯდება, დგება და ნელ-ნელა უახლოვდება სავარძელს,
ჩაქმვება სავარძელში. სიჩუმეა. მკვეთრად ინთება სინათლე. დიილი სავარძელშია, ანა დივანზე
წევს, ქეითი მეორე დივანზე ზის.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

თარგმნა ლია ჯამბურიაშ
ტელ.: 599-44.98.99
lika_jamburia@yahoo.com